



გაზეთი გაიჭიჭის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამტრედიის

N32 (9212)

20 ნოემბერი. 2016 წელი

ფასი 50 თეთრი



### გაღიჯა ნოზისთვის!

2016 წლის 18 ნოემბერს საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტი მუშაობას შეუდგა. სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვიდრე პარლამენტის წევრად გადააბიჯებდა, რედაქციაში დარეკა და გვთხოვა, ჩვენი გაზეთის მეშვეობით საშუალება მიგვეცა, მისი ამომრჩევლებისთვის, ყველა სამტრედიელისთვის ამ დიდი ნდობის გამო მადლობა გადაეხადა.

წარმატებები ვუსურვოთ ბატონ ვრიგოლ (გია) მიქელაძეს ქვეყნის საკეთილდღეო საქმიანობაში!



### ტალუჯის უკვალსი სინით ტურისტების როგ დაკინტარესოთ

3

### სარვეზები განაგდა გამოვასწოროთ, სანამ საქმე გაფუჭდება

2



### ზამთის ხელისუფლის საიუბილეო

4

თბილისელი სემეოლოგიური თერაპიით

10

### ჩინიგზა ავას უნ ვიბახიანისთვის ყურაოუჩია

2

### “ნოკაღა” სკოლდის კუდუღუფუ



5



5

### კოგლასა და შინისტრის “ღუაღი”

# სარეზიუმე მანამდე გამოვასწოროთ, სანამ საქმი გაფუჭდება

## 6064 ნაწილაკი

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მსჯელობის საგანი გახდა ერთჯერადი დახმარების გაცემის თემა. ლევან ახობაძის ინიციატივით ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს სამსახურმა ლიმიტს გადააჭარბა და იძულებულია არიან, სა-

დაკმაყოფილებენ, მათ წერილობითი ფორმით დასაბუთებული პასუხი გაუგზავნონ. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე სოფიო კვაჩიანიშვილმა მოთხოვნა გააქვლა, განცხადებების განხილვის პროცესს ტერიტორიული ერთეულებიდან გამგებლის წარმომადგენლები დაასწრონ. ნაბაყვიის თემს ხუჯულაურის ფო-



გარანტიების გაცემა შეაჩერონ. სამსახურის უფროსის თქმით, ამ ეტაპზე 3400 განცხადება აქვთ დაკმაყოფილებული. სულ 5000-მდე განცხადება შემოვიდა. მათგან 950 საგარანტიო გაცემული ოპერაციებისა და გამოკვლევების ჩასატარებლად, ხოლო 778 საგარანტიო მდგომარეობის დასაფინანსებლად. საგარანტიოების შეჩერება არასასიამოვნო ფაქტად მიაჩნია მუნიციპალიტეტის გამგებელს. ვალერიან ფოცხვერია მონდომებულია, დაიტოვოს უფლება, გამოწვევის სახით საგარანტიოები გასცენ განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე. ვისაც ვერ

ფილ ნაკრძალში გამოყოფილი ტყე-კაფიდან სამეურნეო გამოტანა გართულებული აქვს. გამგებლის წარმომადგენელმა, ვეფხია წულუკიანი თათბირზე იმ ხალხის პრობლემა გაახმოვანა, რომლებიც “ლიბერთი ბანკიდან” გაწვდილებული ბრუნდებიან, რადგან საიში მათი გვარები და სახელები გამოტოვებულია. იგივე პრობლემა აწუხებს ევრის მოსახლეობას. რეზო ივანიძის თქმით, სამ ინსტანციაში – კანცელარიაში, სატყეოსა და “ლიბერთი ბანკში” რამდენიმე ათეული ადამიანის მონაცემები დაიკარგა. დაბა კულაში გამგებლის წარმომად-



გენელმა დამამიძღვრელი პასუხი ვერც ამ თათბირზე მიიღო. ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც ლაღო სოხანე-იშვილს მათ დასახლებაში კანალიზაციის სისტემის მოწოდების მოთხოვნით მიმართავენ, საკითხს ვერ უგვარებს, რადგან კომპანია, რომელმაც სამუშაოები უნდა აწარმოოს, დამოუკიდებელია და ამა თუ იმ უბანში წყალ-კანალის ქსელის გაშლას საკუთარ კომერციულ ინტერესს უქვემდებარებს. ვალერიან ფოცხვერიამ ლაღო სოხანეიშვილს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის გადახურვაზეც ვერ მისცა იმედი. საჯავახოდან გამგებლის წარმომადგენელმა ორშაბათის თათბირის ტრიბუნაზე კომუნალურ სამსახურს არჩების გაწმენდაში დახმარებისთვის მიმართა. ქუჩიდან რეზო ივანიძეს “ქუჩურ პროლოგისთვის” თხოვნა-შენიშვნა აქ-

ვს, ხეობაში მიბმული ელექტროსადენების პირობებში მისი სოფლის მოსახლეობა თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს. ბაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს იწუხებს. სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალური დაფის რემონტზე მშენებლებს დამკვეთის მოთხოვნა: სურათების შეცვლასთან დაკავშირებით არ გაუთვალისწინებიათ. ტერიტორიული ერთეულებიდან გა-

მგებლის წარმომადგენლების შენიშვნებს ორშაბათის ტრადიციული თათბირის მსვლელობისას ფურადღებით ისმენდა გამგებლის მოადგილე. დასასრულს მამუკა თავაძემ მათ ასეთი რჩევა მისცა: როგორც კი პრობლემას წააწყდებით, საქმის კურსში იმთავითვე ჩამაყენეთ, ხარვეზები მანამდე გამოვასწოროთ, სანამ საქმი გაფუჭდება. რათა თავიდან ავიცილოთ დანგრევა და შემდეგ თავიდან აშენება.

## 6064 ნაწილაკი

20 წლის “ქეითდენტის” მრგვალ საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. ზუსტად 2 ათეული წლის წინ, 1996 წლის 7 ნოემბერს სამტრედიის ცენტრში, ჭავჭავაძის ქუჩის №1-ში გაიხსნა სტომატოლოგიური კაბინეტი, რომელიც ქალაქში ერთადერთი კერძო კლინიკა იყო. მოგონებებს შორს მივყავართ, “ქეითდენტის” დამფუძნებელი დღეს იმ თანამშრომლებს იხსენებს, მასთან ერთად 20 წლის წინ დაუფიქრებლად რომ მიიღეს გადაწყვეტილება: “ჩემი აზრი მოიწონეს ექიმ-სტომატოლოგმა ნანა ცირეკიძემ და ნუნუ აბრამიამ, კოსმეტოლოგმა ციცინო ხონელიძემ, პედაგოგმა მაია მიქაძემ, ლაბორანტმა ლელა ფანცულაიამ. ნებისმიერი ნოვაცია ყოველთვის ნაკლებ ნდობას იწვევს. ჩვენს შემთხვევაში პირიქით მოხდა, არაფერს ეპარებოდა ექვი, ჩანაფიქრი რომ გაამართლებდა. პირველივე ხანებში ვიგრძენით პაციენტების სიმრავლე, რომლებიც უყოყმანოდ აღებდნენ ახლად გახსნილი კერძო კლინიკის კარებს და გვისხდებოდნენ სავარძლებში. არც იყო გასაკვირი, რადგან იმ დროისათვის პირადად მე და ასევე ნანა თოფურია 20 წელზე მეტი ექიმო-

# ქეთევან ჰაპავას კლინიკა 20 წლისაა

ბის სტაჟი გვექონდა და ავტორიტეტიც მოპოვებული. ასევე იყო კარდიოლოგების მიმართ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო პა-

არა ისინი, ჩვენი კლინიკა ასე ვერ განვითარდებოდა და ვერ გაიზარდებოდა.” ქეთევან ჰაპავას სამედიცინო ცენტრში მრავალი ახალგაზრდა სტომატოლო-

მისი დამფუძნებელი ამბობს, 20 წლის განმავლობაში კერძო კლინიკამ აღმასვლა განიცადა. ეს გამოიხატება იმაში, რომ თუ 20 წლის წინ მხოლოდ თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში მუშაობდნენ, დღეს “ქეითდენტს” ჰყავს მაღალკვალიფიციური ორთოდონტი მამუკა ბოხუა. შაბათობით იგი უფასო კონსულტაციებს ატარებს. ხოლო საჭიროების შემთხვევაში მაღალხარისხიანი ბრეკეტებით პაციენტებს ულამაზებს ღიმილს. ქეთევან ჰაპავას შეუძლია, საათობით გვესაუბროს მის თანამშრომლებზე, განსაკუთრებით ეკა მსხალაძეზე, რომელიც 10 წელია “ქეითდენტის” იმიჯზე ერთგულად ზრუნავს და პაციენტთა სიყვარულს იმსახურებს. ეკას შემდეგ კბილის ტექნიკოსს ილია შარაშენიძეს ასახელებს, რომელიც სტომატოლოგ მეუღლეს, ეკა მსხალაძეს გვერდით უდგას და ერთად საუკეთესო ტანდემია. გახტანგ ბერეკაშვილი კლინიკას ორთოპედ სტომატოლოგად 4 წლის წინ მოუვლინა. ამჟამად იგი ქირურგიულ სტ-

ომატოლოგიაში კვალიფიკაციას იმაღლებს. სულ მალე ვახტანგ ბერეკაშვილი ქირურგის სერტიფიკატს აიღებს. ახალი კადრი, თერაპევტ-სტომატოლოგი შორენა თედიაშვილია. მაღალი ინტელექტის მქონე ბორჯომელმა ქალბატონმა სამტრედიელი პაციენტების ნდობა მალევე მოიპოვა. ტექნიკოსმა გიორგი გეფერეიძემ პირველმა შეიძინა კბილის გვირგვინების ჩამოსასხმელი აპარატი. “ქეითდენტს” მისი სახით უკვე 3 წელია მაღალპროფესიონალი თანამშრომელი ჰყავს, რომელიც დღითიდღე იზრდება. სამტრედიის გიორგი გეფერეიძე ცნობილია, როგორც მეტალო-ფაიფურის კბილების საუკეთესო დამამზადებელი. კლინიკის თანამშრომლები არიან ლაბორანტი მანანა კოპალეიშვილი, კოსმეტოლოგი ნანა ზაქარაიშვილი. ქეთი ჩაკელიშვილზე დამოკიდებულია სამედიცინო ცენტრის სტერილური უსაფრთხოება. 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით კლინიკაში ახალ წლამდე 50 პროცენტით ფასდაკლებაა. პაციენტები “ქეითდენტს” არც აქამდე აკლდა, საიუბილეო აქციამ სტომატოლოგებს უამრავი სამუშაო გაუჩინა, რასაც ექიმები ამაღლებული განწყობით აყვებენ.



იენტებს იმ ნდობისათვის და თანადგომისთვის, რაც მათ პირველ ხანებშივე გამოიჩინეს “ქეითდენტის” მიმართ. რომ

ოგი დაფრთხილდა. რამდენიმე მათგანმა დამოუკიდებელ მუშაობა გააგრძელა. რაც შეეხება თავად “ქეითდენტს”, როგორც

# ჩინიგზა ავას ენკიბარისისთვის ყველაზე

## 6064 ნაწილაკი

რეინიგზის პროფესია საპატიოსთან ერთად რომ საპასუხისმგებლოც არის და მაღალპროფესიონალიზმს მოითხოვს, ამას ავას ენკიბარისის წარსულის ერთი მწარე მოგონებაც მეტყველებს: 1979 წლის ტრაგედია, ურეკი-ნატანების გადასარბენზე ნავთობპროდუქტებით დატვირთული სატვირთო და სამგზავრო მატარებლების შეჯახებამ, მაშინდელი საბჭოთა კავშირი მოლიანად შექრა. ერთი რეინიგზელის დაღუგვობას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. საქართველოს რეინიგზის მსგავსი უბედური შემთხვევა არ ახსოვს. თუმცა სიფრთხილეს გასაკვირებლად იჩინეს, ადამიანური რესურსისა და ტვირთის გადაზიდვა უსაფრთხოდ აწარმოოს. აქედან დასკვნა: რეინიგზაში მუშაობა არც

იოლია და კოლექტივში სასახლოდ რომ წარმოჩნდეს, ბევრ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. დირექტორთან თათბირი დასავლეთის ელმომარაგების სამმართველოს თანამშრომლებმა ურთიერთშორის აზრთა შეჯერებით დაასრულეს და ზურაბ გოგობიას შევითხვან, ვის დაასახელებდნენ წლის საუკეთესო თანამშრომლად, დარიგებულებით ყველამ არჩევანი ერთი და იგივე პიროვნებაზე გააკეთა. სამტრედიელ ავას ენკიბარისს დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოში მუშაობის 37 წლის სტაჟი აქვს. ოჯახსა და სამსახურში მას მოფერებით სახელს კუკურას ეძახიან. ელექტროფიციის სპეციალისტად



ქალაქ როსტოვში, რეინიგზის ინსტიტუტში დაუფულა. 22 წლისა იყო, ელექტრომომარაგების სამმართველოში მონტიორად რომ დაიწყო მუშაობა, 1979 წელს, სწორედ იმ ავბედით პერიოდში, როცა საქართველოს რეინიგზზე

დიდი ტრაგედია დატრიალდა. მონტიორობა ელექტროსისტემაში ჩანაცვალა, როგორც კარგი კადრი მალევე დააწინაურეს და საკონტაქტო ქსელის რაიონის უფროსად დანიშნეს. 2000 წლიდან საკონტაქტო ქსელის ინჟინერია. მუშაობის პერიოდში ბევრჯერ გამოიჩინა თავი პროფესიონალიზმით, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობით და ერთგულებით. 6 წლის წინ საქართველოს რეინიგზის დეპარტამენტმა საპატიო რეინიგზელის წოდება მიანიჭა. ავას ენკიბარისი 2014 წლიდან დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსად დააწინაურეს. ამბობს, რომ რეინიგზა მისთვის ყველაფერია.

ავას ენკიბარისს ძირითადად საკონტაქტო ქსელის წევრს ქვეყნადგურების და ელექტრომომარაგების რაიონული ტექნიკური გამართულობაზე კონტროლი ევალება. როგორც სამმართველოში მიიწვევენ ტექნიკური სამსახური შექვერული რგოლია ყველა იმ სამუშაოს, რაც ექსპლუატაციასა და მოდერნიზაციას უკავშირდება, კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, განათლების დონის ამაღლება, ტექნიკოსა და უსაფრთხოების კონტროლი. არ ნანობს, რომ რეინიგზელობა აირჩია, მართალია, ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანი აბარია, კოლეგების დახასიათებით, ავას ენკიბარისი თავის საქმეს მაღალპროფესიულ დონეზე უმღეობს.

ნათობა ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მონაწილეები ბევრნი ვართ. "ნაშთი ძეგლი დიდების" - ტელეფონის ციხის ნანგრევები უნდა მოვიწოდოთ, "სულის ბერძენი გასაჩხრეკი" წარსულის ერთ-ერთი მოწმე ეს ციხეცაა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ტოლების ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 244 მეტრ სიმაღლეზე, მდინარე რიონისა და ცხენის წყლის შესართავის დასავლეთით რომ მდებარეობს. ორი თაობა გააერთიანა ამ კეთილშობილურმა იდეამ.



ტელეფონის უკვე აღნიშნული ტურისტების რომ დააინტერესოს



ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად საჯარო სკოლების მოსწავლეებიც მოვიდნენ, დარგის სპეციალისტებიც, ორი ნიშნული დაიდგა, ერთი - გზაჯვარედინზე, მეორე კი - ციხის ახლოს. ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ახალგაზრდებიც აქტიურად ჩაერთვნენ ციხის გარშემო არსებული ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავებაში. პირველი ბარი მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაკურა და ნიშნულიც აღმართეს, გზას ვაგრძელებთ, 200 მეტრს ფეხით გავივლით და ციხესთან ავიდვართ... ციხის გარშემო ტერიტორია დანაგვიანებულია, მისი გაწმენდაც აუცილებელია, ერთმანეთს ტოლს არ უდებენ სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები ლიზა კრავიშვილი და მამუკა ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა მიძიგური, საკრებულოს წევრები, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წარმომადგენლები...

იმე აძლიერებს შენს ქვეყანას, ეს ქართული სოფელია, სოფელი კაცია, კერძაზე ცეცხლს რომ არ აქრობს და ჭიშკარს არ აქცევს... ასეთი კი ტელეფონის ციხის ახლოს მცხოვრები ბატონი ალექსანდრე დიდიას ოჯახიცაა. ამ ოჯახში დაწვრილი ადვოკატი და ვაჭარი ლაშქრობის მონაწილეებმა. მეცნიერთა მიერ წარმოებული ცვლევების შედეგად, ტელეფონის ციხე განეკუთვნება ეკოლოგიის სამეფოს ერთ-ერთი თავკაცივით სისტემის ე. წ. "მო-



ეკია. აქაურები გზას გვასწავლიან, აღმართზე ასვლაში გვეხმარებიან, მთავარ მეგობრობას მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში, ალექსანდრე ბოცვაძე გვიწევს. მისთვის, როგორც ამ მიწის მკვიდრისთვის განსაკუთრებულად ფასობს ყოველი გოჯი აქაური მიწისა. "ერთ დროს აქ ჯარებს უხმოდნენ" - პოეტის ლექსი ხშირად გონებაში, ახლა კი, ... სოფლის მოსახლეობისაგან იცლება, სიმწიფისაგან კანდამაკდარი ბლოწველები აქაურთა ხელეხს გაგონებენ, შრომისაგან დაღარულთ და გრძნობ, რომ თუ რა-

ხირისის ქვეყნის" გამაგრების ქვესისტემას, რომელიც საჯარო გზებს იცავდა და მოიცავდა დღევანდელი წყალტუბოს, ქუთაისის, ზესტაფონის, ხონისა და სამტრედიის ტერიტორიების ვაკე ნაწილებს. ტელეფონის ციხეს ჰქონდა ხეობის - გზის ჩამკეტი ციხის ფუნქცია. ისევე, როგორც ეგვიპტის სამეფოს თავდაცვით სისტემაში გაერთიანებულ ციხესიმაგრეთა დიდ ნაწილს, მას სასიგნალო-საგეგმავო ციხის ფუნქციაც გააჩნდა. "სამტრედიის მაცნე" კომენტარი ამ შთამბეჭდავი დღის შესახებ რამდ-



ბაძი. ათობით და ასობით ციხე-სიმაგრე გვაქვს საქართველოში, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად ყველა გაერთიანდა დღეს ამ კეთილშობილური იდეის გარშემო. ეს ციხე ახალი წელთაღრიცხვის მერ საუკუნით თარიღდება, იმთავითვე ერთ-ერთი უძველესია, ეს პირველი ნაბიჯი სწორედ იმისთვის გადაიდგა, რომ მომავალში აქ არქეოლოგიური კვლევები ჩატარდეს, კიდევ უფრო დაზუსტდეს ბევრი რამ, აქამდე უნდა მივიყვანოთ დაინტერესებული პირები: მეცნიერები, ტურისტები, ადგილობრივი მოსახლეობა. უახლეს ხანში აქ ერთი ბანერიც უნდა გაკეთდეს, კონკრეტული მარშრუტი რომ იყოს აღწერილი, თუ როგორ მივიდეს ტურისტები ციხესთან, ანუ უნდა მოხდეს ტურისტული მარშრუტის მარკირება, როგორც აკადემიკოს აკაკი შანიძის მწვერვალის დალაშქვრა მოხდა მასშტაბურად. ეს მარკირებაც შესაძლებელია უახლოეს მომავალში".

რთულნი არიან) რათა მათ იცოდნენ მეტი საკუთარი წარსულის შესახებ, ეს უძველესი ძეგლია მერ საუკუნისა, ჩვენ წამოვედით, რომ სარეველებისაგან გაწმენდოთ იგი და კულტურის პროპაგანდის ნაწილია ეს დღევ, თქვენი, მედიის ჩართულობაც ამით არის ნაკარნახევი, ბევრი სხვა ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი მომავალში, თქვენთან ერთად შემოვივლით ყველა ძეგლს".

ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: "დღევანდელი ღონისძიება ჩვენმა სამსახურმა მოამზადა. ვფიქრობ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლი უნდა იყოს მეტად აღნუსხული და შესწავლილი, მინიმუმ, რისი გაცეთებაც ამ ეტაპზე შეეძლებოდა, ისაა, რომ ნიშნულები დაედატოვებინათ ციხის მიმართულებით, რომ დაეინტერესოთ ტურისტები და ჩვენი მუნიციპალიტეტი გაეცნოთ მთელ საქართველოს და უცხოეთს. გვესურს მომავალში გამოვცეთ დასუფთავებული ბუდეები ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლებისა. მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია: "ეს კულტურის სამსახურის მიერ დაგეგმილი შესანიშნავი კომპლექსი უნდა მოვიწოდოთ, უნდა მოვიწოდოთ ერთი კულტურული მემკვიდრეობის ყველა ძეგლი, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა, აქ ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ, (დღევანდელ ჩა-

რთულნი არიან) რათა მათ იცოდნენ მეტი საკუთარი წარსულის შესახებ, ეს უძველესი ძეგლია მერ საუკუნისა, ჩვენ წამოვედით, რომ სარეველებისაგან გაწმენდოთ იგი და კულტურის პროპაგანდის ნაწილია ეს დღევ, თქვენი, მედიის ჩართულობაც ამით არის ნაკარნახევი, ბევრი სხვა ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი მომავალში, თქვენთან ერთად შემოვივლით ყველა ძეგლს".



# კომბლესა და მინისტრის “ღუელი”

ლევან გაბაჩიაძე

ბეჭდვური თუ ელექტრონული მედია ამ დღეებში განათლებისა და მეცნიერების პატივცემული მინისტრის ერთ-მა განცხადებამ ალაპარაკა, რომელიც ქართული ზღაპრების, კერძოდ, “კომბლეს” ავტორიანობას ეხება.

საკვირველია! ყველა ადამიანს აქვს საკუთარი აზრის დაფიქსირების, საჯაროდ გამოხატვის საშუალება, მაგრამ როცა განაცხადს მთავრობის წევრი, ესოდენ ფაქტში სფეროს თავკაცი აკეთებს, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ახალ იდეებზე, ახლებურ აზროვნებაზე საზოგადოების მოსალოდნელი რეაგირება უნდა იქნას გათვალისწინებული.

უფასო სახელმძღვანელოების დარიცხვით, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციით რომ ქვეყანაში შესანიშნავი რამ გაკეთდა, არავინ უარყოფს, მაგრამ...

როცა ჩვენს სკოლებში V კლასიდან XII ჩათვლით მოსწავლეებს ერთნაირი სიდიდის პერსონალურ მერხთან უწევთ ჯდომა, რაც როგორც მათი ხერხედილი-სათვის, ისე მხედველობისთვისაც ზიანის მომტანია, ჩვენი აზრით, ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება ღირს?

როცა ქვეყანაში, თუნდაც, ერთი ფაქტი ფიქსირდება, როცა პედაგოგები ტოვებენ სკოლებს და სამუშაოდ უცხო ქვეყანაში მიდიან, მანამ...

როცა საინფორმაციო საშუალებები გვამცნობენ, რომ აუდიტის სამსახურის დასვენის შედეგად აღმოჩნდა, რიგი დარღვევები დედა უნივერსიტეტში, რაც საკუთარ უფლებებში სტუდენტობის გაუთვითცნობიერებაში, სტუდენტობის მხრიდან გაცდენების მაღალი მაჩვენებლებითა და რიგი სხვა საკითხებით გამოიხატა;

როცა ქვეყანაში თუნდაც ერთი შემთხვევა ფიქსირდება, როცა ბავშვებს სწავლა საქონლის სადგომსა თუ სხვა და-

მხმარე სათავსოებში უწევთ;

როცა...

როცა... შემოადინებულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება არ უნდა ღირდეს.

ჩვენი, თქვენი, ბატონო მინისტრო, ჩვენი წინა თაობები ქართული ხალხური ზღაპრების სიბრძნით, ბოროტებაზე კეთილის გამარჯვების სურვილით აღიზარდნენ, მაგრამ თავი არ შეურაცხვენი-ათ, ქვეყნისთვის, ერისთვის სახელი არ გაუტყუხიათ...

ბევრს არ გავაგრძელებთ.

ქექოს ნაცარი ნაცარქექიამ...

იავოს ბოროტმა დედინაცვალმა...

იბაჯბაჯოს ტყეში მურა დათემა...

ისევ თალოს კომბლემ კომბლები...

დაბოლოს, ქვეყანაში და განათლებ-ის სისტემაში იმდენი პრობლემაა, ნამდვილად არაა მინისტრსა და კომბლეს შორის ღუელის დრო.

ახლა კომბლეს მოეუხმინოთ:

“აბა ვინმე მომეკაროს, თავში დავეხებ კომბალს ყველას”...



# “ნიადაგი” სკოლის კულტურა

თბაქაძე ნინო

ნოღაში, წმინდა გიორგის კლესიის წინ, საუკუნეზე უფროსი სკოლა დღესაც ერთმეორობს. ისეთი რიხით ვერა, როგორც ვახუშტი და გარდასული წლებში, მაგრამ მაინც ხმაინობს მის ქოში ასწლეულზე უხვეს ცაცხვის ქვეშ სოფლის არდაცლის, წინაპართა ფესვებს არმოწყვეტის იმედი.

სხვანაირად როგორ იქნება, აკაკი შანის სახელობისა ნოღის საჯარო სკოლა. თუნდაც ამიტომ, წარმატებულები და ჭკვიანები არც აქამდე აკლდათ და არც ამჯერად აკლიათ. ამაში დარწმუნებას რა უნდა, მთავარია სკოლას ეწვიო, ვერ მისი ქოთი მიიხილო და მერე სხვებს თავი დაეხებით, სკოლის თვითმმართველობის წევრებს მოუხმინო. არა, არც დაბალი კლასების მოსწავლეებთან გვაქვს რამე საბრტენით, მაგრამ ამჯერად სწორედ თვითმმართველობა ჩვენი ინტერესის სფერო და უფრო ახლოს გაცნობთ მათ.

კლუბმა “ნიადაგი” და მისმა წევრებმა ახვენეს საკუთარი შესაძლებლობები, ერთგვარი ანგარიში ჩააბარა თანატოლებსა და პედაგოგებს. ხუთი დღე დასჭირდათ

კარიკატურა პოპულარულს ხდის ადამიანს და წყნა გადაუვლის.

ორნამენტებზე მუშაობს ნანა გობაძე.

ერთი-ორჯერ სცადა მათი დახატვა, გამ-

ნუ გაგვიკვირდებათ, დიღობაში მარია მუჭუამ ბუღი მულტიპლიკაციაში რომ სცადოს. ძალიან შთაბეჭდილია მისი დახატული ცხოველები და მულტიფილმების გმირები.

ნებისმიერი ჟანრი და ხასიათი ახლობელი ხატვაში მარი ცერცვადისთვის. ხატავს ყველაფერს, რაც მისი ინტერესის არეალში მოხვდება.

კარატეში რომ მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს, საქართველოს ჩემპიონობ-

ვლებით კმაყოფილია. უკმაყოფილო რითა? იმით, რომ სკოლაში კოტინგენტი იკლებს. მიგრაცია სოფლებიდან აქ ძალიან ხელშეშასხება. “მეცხრე წელია, დირექტორი ვარ. ჩემი დირექტორობის პირველ წლებში, 160 მოსწავლემ მეტი ჰყავდა სკოლას. მერე კლება თანდათან დაიწყო და წელს ერთ კლასში საერთოდ არ გვყავს მოსწავლე. სულ კი სკოლაში 73 ბავშვი სწავლობს. შარშან 19-მა დაამთავრა სკოლა, პირველ კლასში 5 ბავშ-



ნამუშევრების შესაგროვებლად და ამ საინტერესო გამოფენის მოსაწყობად.

ასაკი თავისას, რა თქმა უნდა, აქაც შეება! სიყვარული მისი მთავარი თემაა. ვინც სკოლის მერხსა და კედელზე არ ხატავს, ფურცელზე გადმოიტანა თავისი განცდები. თუმცა, არც ისტორიული გმირები, სხვადასხვა ორნამენტები, კარიკატურები, უბრალოდ, ლამაზი ხელნაწერი გამორჩენია გამოსაფენად მათ თვალთახედვას. “პედაგოგებისგან შემდგარი ფიური გამარჯვებულს გამოავლენს. რაღაც შეხება მეც მაქვს მხატვრობასთან და ვხვდები, რომ არ ხატავენ ბავშვები ცუდად. ყველა ფიროსმანი ვერ გამოვა, მაგრამ ერთი კარგი მხატვარიც გაუთქვამს სახელს ჩვენს აკაკი შანისთვის ისედაც სახელანთქმულ ნოღას.” – ამბობს გიორგი მიგინიშვილი.

მაც ხატავს და მამაც. პირველი კარიკატურა მის დახატული ნახა ნესტან მეფარიშვილმა. მოეწონა და თავადც სცადა ბუღი ამ ჟანრში. აკეთებს მეგობრების, ნაცნობების კარიკატურებს. მართალია, თანაკლასელი გაბარაზა საკუთარი შემოქმედებით, მაგრამ ამიერიდან იმ გაბარაზებულ თანაკლასელსაც ეცოდინება, რომ

ლოვიდა და გააგრძელა.

შეგვარებული არ ვარო, თუმცა ისეთ ასაკშია, ძნელია “ენლო”! ცუდი, რა თქმა უნდა, არაფერია სიყვარულში, თავად დაიმორცხვა თუ არა. ნინო შანიძე ფანქრობს “მონატავს” ხოლმე სიყვარულს, როცა ამის მუხა ეწვევა და ისე მოხატავს, საგამოფენო კედელი მისი ნამუშევრების გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება.

ამდევ კი მივიდა, არ ჰყოფნის. ხატვითაც ჩინებულად ხატავს მარია გოგიტაური. სამხატვრო სკოლაშიც სწავლობდა იგი. მხატვრულად წერაც ეხერხება და თუ რამე გასაფორმებელი აქვთ სკოლაში, მარია იქ არაა!

ყველაზე პატარა მხატვარი კლუბში 9 წლისაა. დავით მხილაძე ისტორიული პირების ხატვითაა გატაცებული. ამჯერად მისი დავით აღმაშენებელი გამოიფინა, თუმცა არც თამარ მეფე და სხვები დაუტოვებია “უყურადღებოდ” პატარა მხატვარს.

ამჯერად “ნიადაგი” იაქტიურა. დავებირდნენ, მალე ლიტერატურული კლუბი პოეზიის საღამოზე მოგიწვევით. დიას, ლექსებსაც წერენ, ჩანახატებსაც. ეს სევებსაც... ვნახოთ, მოეუხმინო!

დირექტორი, ცალკე მხელაძე მოსწავ-

ვი მივიღეთ.” მისი საწუხარი გლობალური პრობლემა ქვეყნისთვის. ბავშვებს ვკითხეთ და, თუ დასაქმება, გართობა და ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელი კეთილდღეობა იქნება, არ მივატოვებთ სოფელს. მაგრამ თუ იქნება! არადა, დირექტორმა ისიც დასძინა, მხოლოდ სკოლა სოფლებში, კულტურული, გასართობი და საერთოდ, ერთადერთი ცენტრი.

ჰოდა, იმ ცაცხვის ძირში, სადაც საუკუნეზე მეტია იბადება და ფროიანდება იმედი, ეს იმედიც დავიჭოვით, რომ იქნება ყველა ის სიყვითე. ახალგაზრდის სოფელში “დამაგრებას” რომ სჭირდება.

ამჯერად “ნიადაგი” გამო ექსტრემული ნოღის საჯარო სკოლას. გვეჯერა, კარგ ამბავზე კიდევ დაგვიძახებენ და აქ არ ვართ, სასიამოვნო სიახლეების მაცნეები კვლავ ეიქნებით.

**გონების სავსეში უფროსი და აბიკუიხენტათის**

1. ვინ უწოდა ნიკო ნიკოლაძეს “უღმობელი საქმის კაცი”?
2. ანთიმოზ ივერიელის გვარი?
3. ვის მიუძღვნა აკაკი წერეთელმა ექსპრომტი “სასმელების მეტოქე ხარ, ღვინის, ლუდის, რძის და წყლის”?
4. რომელ წელს გამოეცა გიორგი V ბრწყინვალე?
5. მიმდინარე საუკუნეში ერთ-ერთი ქვეყნის მონარქმა საკუთარი (სამეფო) ოჯახის ყველა წევრი მოჰკლა. რომელ ქვეყანაში მოხდა ეს საზარელი ფაქტი?
6. კოსმოსში ერთ-ერთი ექსპედიციისას ბურთულიანი კალმებით არ (ვერ) დაწერეს, რატომ?
7. რომელ სოფელში დაიბადა ლავრენტი ბერია?
8. ძველად, საქართველოში ერთ-ერთი ცხოველის ინტუიციის გათვალისწინებით გარეშე მნიშვნელოვანი გზები არ გაკვავდათ, რომელ ცხოველზეა საუბარი?
9. რომელი საუკუნიდან ეწოდება ჩვენს ქვეყანას საქართველო?
10. ცნობილი ქართველი მთამსვლელი ჭალი?

**სწორი, არგუმენტირებული პასუხების გამოგზავნი დაჯილდოვდება.**

**შალვათა ლევან გაბაჩიაძე**









ფინანსური	დასახელება	2014წლის ფაქტი	სულ		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები		საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები		საკუთარი შემოსავლები	
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები		
70721	ზოგადი პროფილის ამბროზიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70722	სპეციალიზირებული ამბროზიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70724	სამუცლო სამედიცინო პალატიის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70731	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70733	სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70734	სანატორიუმებისა და განსაკუთრებული სახლების მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	92.6	92.0	71.9	19.1	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8	
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
708	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>2,782.1</b>	<b>3,681.9</b>	<b>149.6</b>	<b>3,532.3</b>	<b>2,778.6</b>	<b>0.0</b>	<b>2,778.6</b>	<b>2,704.2</b>	<b>0.0</b>	<b>2,704.2</b>	
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,523.8	2,232.7	0.0	2,232.7	1,470.3	0.0	1,470.3	1,466.6	0.0	1,446.6	
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	991.7	1,144.3	149.6	994.7	985.6	0.0	985.6	954.6	0.0	954.6	
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საკომუნიკაციო საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7084	რელიგიური და სხვა ხაზის საზოგადოებრივი საქმიანობა	266.6	304.9	0.0	304.9	322.7	0.0	322.7	303.0	0.0	303.0	
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
709	<b>განათლება</b>	<b>1,197.0</b>	<b>1,640.6</b>	<b>356.7</b>	<b>1,283.9</b>	<b>1,639.6</b>	<b>0.0</b>	<b>1,639.6</b>	<b>1,705.4</b>	<b>0.0</b>	<b>1,705.4</b>	
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,069.7	1,399.5	286.6	1,112.9	1,420.2	0.0	1,420.2	1,453.4	0.0	1,453.4	
7092	ზოგადი განათლება	1.2	0.0	0.0	0.0	45.0	0.0	45.0	80.0	0.0	80.0	
70921	ფუნქციონირება ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70922	სამაზო ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70923	სამშალაო ზოგადი განათლება	1.2	0.0	0.0	0.0	45.0	0.0	45.0	80.0	0.0	80.0	
7093	პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7094	უმაღლესი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70941	უმაღლესი პროფესიული განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7095	უმაღლესი მშენებლობის განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	126.1	241.1	70.1	171.0	174.4	0.0	174.4	174.4	0.0	172.0	
710	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>700.6</b>	<b>927.2</b>	<b>41.1</b>	<b>886.1</b>	<b>1,148.0</b>	<b>4.0</b>	<b>1,144.0</b>	<b>997.5</b>	<b>4.0</b>	<b>993.5</b>	
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	

ფინანსური	დასახელება	2014წლის ფაქტი	სულ		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები		საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები		საკუთარი შემოსავლები	
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანშფერები		
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7102	ზანდარბუღის სოციალური დაცვა	274.1	361.7	35.8	272.9	282.5	0.0	282.5	282.5	0.0	282.5	
7103	მარცხენა დაჯილდოებული პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	102.6	133.4	0.0	133.4	133.0	0.0	133.0	124.0	0.0	124.0	
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7106	საგებობრივად უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7107	სოციალური გაუცხოების ხაზით, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	317.4	466.1	0.0	466.1	710.0	0.0	710.0	565.0	0.0	565.0	
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	6.5	19.0	5.3	13.7	22.5	4.0	18.5	26.0	4.0	22.0	
სულ		<b>11,823.3</b>	<b>13,958.0</b>	<b>4,404.0</b>	<b>9,554.0</b>	<b>14,551.7</b>	<b>3,992.3</b>	<b>10,559.4</b>	<b>10,563.5</b>	<b>189.0</b>	<b>10,374.5</b>	

# თბილისელი სამცხრელოელი თქვებით

**გულის სიღრმეზე სედა დაფარულად – ასეთად რჩება ჩემს მესხიერებაში ბატონი ნუგზარ რუხაძე, პარტიის სამტრედიის რაიონის ყოფილი პირველი მდივანი (1974-1975 წ.წ.), ტკივილი, რომელიც ის დღე და საჯაროდ არასდროს საუბრობდა, არავის ახევედა თავს.**

**ჩემი აზრით, სამტრედიის რეალობაში ეს იყო მეტად საინტერესო წლები – ახალი შემოქმედებითი ენერჯით, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მიღწეული წარმატებებით, აღმშენებლობითი კურსის გაგრძელებით, კულტურის სფეროსადმი განსაკუთრებული მიდევრობით და ყურადღებით.**

**ბატონი ნუგზარი თავისი ფესვებით სამტრედიელია, სოფელ ვაზისუბნიდან. თბილისში გაზრდილი, უაღრესად ინტელექტუალური პიროვნებაა, პროფესიით მშენებელი ინჟინერი, სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის ყოფილი წევრი, თავის პროფესიულ საქმეში გამოყვანილი, თბილისის “ოქტომბრის” რაიონის სახალხო დეპუტატთა აღმასკომის თავმჯდომარე – ამ ბიოგრაფიული წარსულით მოველინა იგი სამტრედიის რაიონს ხელმძღვანელის ახალ ამბლუაში და მასხასიათებელი ტაქტით და პასუხისმგებლობით შეუდგა მუშაობას.**

რაც განსაკუთრებით ხანგასამელოა, ის უდიდეს პატივს მიაგებდა მისი წინამორბედის, ნოდარ კობრეიძის დედას და მიღებულ შემოსულ უმაღურ და მედროვე მოქალაქეებს, რომელთაც სურდათ ძველის დაკნინება და ახლის ქება, გაწბილებულ უშეგებად. ამან თავისი შედეგი გამოიღო. ის ყველა ნაბიჯზე გვაძლევდა კაცურკაცობის მაგალითს.

ეს მოგონება მაღლიერების განცდით დღეს, ხანდაზმულობის ასაკში იწერება და მისი ადრესატია უკვე 80 წლის დედაწამოსილი პიროვნება ნუგზარ რუხაძე. მაშინ 38 წლის გახლდათ, ინტუიცია მას არასდროს დალატობდა, ადვილად ახერხებდა ადამიანის სულიკვეთების ამოცნობას, ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო წინასაკონფერენციო პერიოდში და საერთოდ, როცა საქმე საკადრო საკითხს ეხებოდა. მან ბატონ ნოდარ ბახტაძესთან ერთად ფეხდაფეხ შემოიარა ყველა სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო ორგანიზაცია, სამეურნალო დაწესებულებები, პირველი შეხვედრები კი ახალგაზრდობასთან, განათლების, კულტურის და სპორტის მუშაკებთან გამართა. პირველ პირს უკვე საკუთარი შეხედულებები გაანდა კონკრეტულ ადამიანებზე. იყო ცდები, მისი შეცდომამა შეეყვანისა, მაგრამ უშედეგო.

ბატონი ნუგზარი არის ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებული პიროვნება, კარგი ორგანიზატორი, ადეკვატური თვითშეფასებელი და სხვათა საქმის დამფასებელი, პირველ რიგში, ადამიანი, თავისი მაღალი ღირსებებით.


მაღლობელი ვარ, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდას და გამოუცდელს მასთან ერთობლივი მუშაობის უნიკალური შესაძლებლობა მომეცა. მე მაშინ მცირეწლოვანი შეილს დედა გახლდით. მასსოვს, მეორე შეილზე სამედიცინო ბიულეტენი შეეუგზაუნე, ე. ი. იცოდა, რომ სადეკრეტო შევბულებაში უნდა გავსულიყავი და როცა მისი უშუალო მოთხოვნით მასწავლებელთა აგვისტოს თათბირზე მომხსენებლად დამამტკიცეს, მომერიდა, ხმა ვერ ამოვიღე. ბიუროს წევრებმა პირველ მდივანს გაკვირვებით შეხედეს, მისი პასუხი იყო: “სწორედ ქალბატონი ნათელა წაყითხავს მოხსენებას, როგორც დარგის მდივანი, ქალს დეობა ამშვენებს” და ამით ყველაფერს ნათელი მოჰფინა, ის გზადაგზა ამხვერვედა სტერეოტიპებს, რომელთაგანაც საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული.

ორი წელი ძალიან მცირე დროა თანამდებობაზე ხელმძღვანელად მომუშავე პირველი პირის მოღვაწეობის შესაფასებლად. ბატონმა ნუგზარმა ამ დროში ბევრის გაკეთება შეძლო. მაშინვე დააყენა საკითხი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში და მიადწია ახალი ადმინისტრაციული შენობის და აპარატში მომუშავე პირთათვის საცხოვრებელი ბინის მშენებლობის საკითხის დადებითად გადაწყვეტას. სწორედ იმ წლებში მოხდა ქალაქის იერსახის შეცვლა (ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გიორგი რევიშვილი), რკინიგზის ვაგზლის ტერიტორიის გაწმენდა და პარკის გაშენება, სადაც მკვეთრად გამოჩნდა რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილის ბატონ რევიშვილის, როგორც მშენებელი ინჟინრის მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა, შესაშური ენთუზიაზმი. მოეწყო პანოები რესპუბლიკის ქუჩის გაგრძელებამდე და № 1 საშუალო სკოლის გვერდით.

ბატონი ნუგზარი უდიდეს პატივს მიაგებდა ინტელიგენციას, ზოგადად, ინტელექტს და სწორედ მისი ინიციატივით დაფუძნდა რაიონში ლიტერატურული გაერთიანება და საზოგადოებრივი აზრის ჯგუფი, რომლებსაც წლების განმავლობაში შესაბამისად ხელმძღვანელობდნენ რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ინჟინერი, მწერალი მიხეილ ბუღატი და გაზეთ “წინსვლის” რედაქტორის მოადგილე ბატონი კორნელი ჩიხლაძე. ეს უკანასკნელი იყო სწორედ დემოკრატიზაციის განვითარების ერთგვარი ცდა, საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფო მართვაში, რაც ეფექტურად გამოიყენებოდა შემდეგშიც.

ბატონი ნუგზარი ჰუმანური და ობიექტური, ყურადღებიანი, ანალი-

ტიკური აზროვნების, ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის დრმა მცოდნე პიროვნებაა. 1975 წელს, ფაშინზე გამარჯვების 30 წლისთავის ზეიმის დღეებში სამტრედიას ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი ესტუმრა: კარლო კალაძე, გიორგი კაჭახიძე, გრიგოლ ჯულუხიძე, ზოია ვაშაყიძე, ნაზი კილასონია, ვახტანგ გორგანელი, ლადო სულაბერიძე, გივი ამისულაშვილი, ვანო



ურჯუმელაშვილი, გივი გოგიანიშვილი, სილოვან ნარიშკინი.

თამარ თავაძე, მე ვიტყვოდი ჩვენი ქვეყნის სასიქადულო ქალბატონი, ქალაქის კავკასიის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებული თავმჯდომარე, რომელსაც თანამემამულე პოეტმა გრიგოლ ჯულუხიძემ პოემა “სანავარდოს გაზაფხული” მიუძღვნა, თხოვნით შემოვიდა ჩემთან, გადამეცა პირველი მდივნისთვის მისი მიწვევა თავის ოჯახში სტუმრებთან ერთად. ამით ქალბატონმა თამარმა პოეტებისადმი გულითადი მაღლიერება გამოხატა.

იმ წლებში პირველ პირებს, ბიუროს წევრებს ასეთ წვეულებებზე მისვლის შესაძლებლობა ნაკლებად გვეძლეოდა. ამას მოჰყვებოდა საზოგადოების “ჩასაფრებელი” წევრის გაღიზიანება, უსახელო წერილები... ბატონი ნუგზარი არ გაეცა ასეთ რეალობას, პატივით განეწყო ქალბატონი თამარის წინადადების მიმართ და რაიონის კულტურის სახლში გამართული საზეიმო შეხვედრის შემდეგ ოჯახმა გულთბილად გვიმასპინძლა. აქ დავინახე ნუგზარ რუხაძე იმერული სუფრის თამადის რანგში. მან სტუმრებს ბოდიში მოუხადა: მაპატიეთ, თუ აქ წარმოდგინილი პოეტების ლექსების თანაბარი ცოდნა ვერ გამოვაკვლინო და ვინმეს გული ვატკინო, ამიტომ დავესესხები მსოფლიო პოეზიას და ასე გაავარძელოთ ეს სადამო. გაიხარეს სტუმრებმა, ყველა იყო აღფრთოვანებული, რომ ჩვენს რაიონს ასეთი განათლებული და გაწონასწორებული ხელმძღვანელი ჰყავდა. თუმცა, ამ წვეულებას უსახელო წერილის გარეშე მაინც არ ჩაუვლია, “უსახელო” და “უგვარო” საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას შეახსენა, რომ ქალბატონი თამარის მეუღლე ხორცკომბინატის დირექტორი ვაჟა ყაჭვიშვილი იყო.

მეხსიერებას შემორჩა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატ ნიოლოზ ინოზემცვეთან შეხვედრის საზეიმო ნაწილი, რომელიც გამოირჩეოდა მაღალკადემიურობით, ესთეტიკური მიგნებებით, რაც პირდაპირ კავშირში იყო ბატონი ნუგზარის ჩართულობასთან წინა მოსამზადებელ სამუშაოებში. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ აბაშის, მარტვილის, ხონის, წყალტუბოს, ბაღდათის, ვანის და მასპინძელი რაიონის დედეგაციები, სტუმრები დედაქალაქიდან. ჩვენი განყოფილება, პირადად ანზორ გრიგოლი, თემურ პირველი, ჯულიეტა გოგავა – კულტურის განყოფილების გამგე და მისი სამსახური, ოთარ შანიძე – სამუსიკო სკოლის დირექტორი დიდი პასუხისმგებლობით მიუდგნენ ამ ღონისძიების მომზადებას და შედეგად არ დააყოვნა. მაყურებელში დიდხანს არ განულებულა ამ საღამოს შთაბეჭდილება.

ხანგასამელოა ის ურთიერთობა, რაც ბატონმა ნუგზარმა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრსა და სამტრედიის სახალხო თეატრს შორის დაამკვიდრა. მაშინ ამ თეატრის დირექტორი და რეჟისორი მისი ბავშვობის მეგობარი, ცნობილი მსახიობი გოგი ქავთარაძე გახლდათ. სამტრედიელი მაყურებელი დადიოდა ქუთაისის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლებს და სასწრებად, ასევე ხდებოდა სახელმწიფო თეატრის ახალი სპექტაკლების ჩვენება სამტრედიელი მაყურებლისთვის. კიდევ უფრო იზრდებოდა თეატრალური ცხოვრებით დაინტერესება, მაღლდებოდა მაყურებლის კულტურა.

ასევე მახსენდება ჯერ კიდევ ახალგაზრდა მხატვრის, გივი ფრანგიშვილის შემოქმედებით არენაზე გამოსვლა. როცა პირველმა პირმა ანზორ გრიგოლიასაგან გაიგო ასეთი შემოქმედის შესახებ, პირადად დაინტერესდა. შეხვდა მხატვარს და გაცნო მის შემოქმედებას. იქვე წახალისა და სთხოვა გაეგრძელებინა მუშაობა პერსონალური გამოფენისათვის. მართლაც, 1974 წლის შემოდგომაზე კულტურის სახლის პირველი სართულის ფოიეში მოეწყო გივი ფრანგიშვილის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ასე და-

იწყო ახალგაზრდა შემოქმედის აღმასვლა.

1975 წელი საინტერესოა იმიტომაც, რომ ბატონ ნუგზართან ერთად საქართველოს უმაღლეს საბჭოში დეპუტატად კენჭს იყრიდა ცნობილი კინორეჟისორი ქალბატონი ლანა ლოლობერიძე, საფუძველი ჩაეყარა ახალ მრავალწლიან ნაყოფიერ შემოქმედებით ურთიერთობას.

დაუვიწყარია ის დედაწილი, რაც კურორტ “სამტრედიას” მშენებლობას უკავშირდება. ბატონი ნუგზარის აღმოჩენა გახლდათ ქალბატონი ზინაიდა (ჩუტუ) ნაცვლიშვილი. მაღალკვალიფიციური ექიმი და მენეჯერი, სულით აღმშენებელი. სწორედ ბატონ ნუგზარ რუხაძის მოღვაწეობის წლებში დაიწყო კურორტის ახალი ადმინისტრაციული სახლის და სამეურნალო საბაზანოს მშენებლობა, რომელიც ექსპლუატაციაში 1976 წელს გავიდა. მის საზეიმო გახსნას სამტრედიიდან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად თავადაც ესწრებოდა, ერთობ ამაყი და ბედნიერი.

1975 წლის კონფერენციაზე გახდა ცნობილი, რომ ნუგზარ რუხაძე პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანად გადაკავდა. ყველას გული დასწყდა. მას სამტრედიისთვის ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ვამაყობდით იმიტომაც, რომ ბატონ სულიკო ხაბიშვილის შემდეგ ყურადღება მასზე შეაჩერეს.

გავიდა დრო. საიმოვნებით ვიხსენებ 1974-1975 წლებს, თქვენს ნაღვაწს, ლამაზ ოჯახს – ქალბატონ თინას, განათლებით, კულტურითა და სათნოებით გამორჩეულ ქალბატონს, ლელას – ოჯახის სიყვარულის ფუქეს. ბატონო ნუგზარ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ადამიანობის ნამდვილი ეტალონი ხართ. წლებმა არ უნდა შეგვაშინოს. დემრთმა ჯანმრთელობა და მხნეობა არ მოგაკლოთ! ლელას – ოჯახის კეთილდღეობა და გვილოცნია. სამტრედიის 135-ე წლისთავზე ბრძანდებით, ძალიან გავიხარეთ. დაე, კვლავაც შემართებით გველოთ ამ ქვეყანაზე სიყვარულითა და იმედით. სამტრედიელებისგან კი ვინც გიცნობთ, ვინც ვალდებულია, პატივი მიავოს სამტრედიისთვის დახარჯულ ადამიანებს, მიიღეთ ულვეი სიყვარული და სითბო.

**კახიძისცნობილი ნათელა გულიშვილი**

**კულოცავთ!**

**ნუგზარ დომენის კვი!**

გულითადად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. გმადლობთ სამტრედიისადმი გულწრფელი სამსახურისთვის, ჯანსაღი ურთიერთობებისთვის, კაცური კაცობისთვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას!

**სიმეარულითა და კახიძისცნობილი გულიშვილი და თამაზ ძიგაძე**

### 21 ნოემბერს მთავარანგელოზობაა

ღმერთსა და ადამიანებს შორის ახორციელებენ სასიკეთო კავშირს ანგელოზები. ისინი სიმძიმეს არ გრძობენ და ამდენად, თავისუფლად გადაადგილდებიან სივრცეში.

ღვთის მითითებით ისინი იქ ჩნდებიან, სადაც საჭირონი არიან. ანგელოზებმა კარგად იცაან, რა ხდება ჩვენს სულში, რა გვიღობის, რა გვიჭირს.

შესანიშნავად ხედავენ რა ჩვენს შინაგან სამყაროს, გვეხმარებიან გასაჭირში. ყოველივე კი უპირველესად მათთვისაა საჭირო, ამ მსახურებით ისინი ადიდებენ უფალს.



მთავარანგელოზები: მიქელი – მძლეველი მტრული ძალებისა.

გაბრიელი – სიმაგრე ღვთისა.

რაფაელი – ავადმყოფების მკურნალი და გზაზე დამწყვდელი.

ურიელი – აღმკურნელი ლოცვების სურვილისა.

იეგულიელი – გაჭირვებულთა დამხმარე.

ბარაქიელი – მოძველები ღმრთის სიკეთისა, მთარგელო სულიერი და ხორციელი სიწმინდისა.

სალათიელი – ავადმყოფობისაგან განმკურნებელი.

იერემიელი – ღმრთისადმი სიყვარულის გამღვიბებელი.

ლევან ბაბუნაძე

### გიორგობას გილოცავთ!

ქართლში – გერისთობის, უსანეთობის, ატროცობის. კახეთში – ალავერდობის, თუთრ გიორგობის.

სამეგრელოში – ილორობის სახელწოდებით აღინიშნებოდა ძველთაგანვე გიორგობა.

ქრისტეანი წმინდანის, გიორგი კაპადოციელის ხსენების დღეს. ძველი სტილით 23 აპრილს და 10 ნოემბერს, ახლით კი, 6 მაისს და 23 ნოემბერს ვეღვესასწავლობთ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველ წმინდანთა პანთეონში ძველ-ვაშლი და საკვირველმოქმედ გიორგის.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ყველაზე მეტი ტაძარი და სამლოცველო სწორედ წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული, რაც წმინდანისადმი განსაკუთრებული კრძალებისა და პატივის უმშვენიერესი გამოხატულებაა.

ქრისტეანობისათვის წამებული ჭაბუკი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც რომის იმპერატორმა ქრისტეანობისადმი ერთგულებისათვის აწამა.

ძღვეამოსილმა და საკვირველმოქმედმა წმინდანმა დაიცვას და გააძლიეროს სრულიად საქართველო! გიორგობას გილოცავთ!



ლევან ბაბუნაძე



### ჩემი ღიმილი ანათებს სოფელს!

40 დღე გავიდა და შენი სული მზის სხივად, დიდი ზეციური საუფლოს ნაწილად იქცა. შენს ობოლ დებს, შენს მონაგარს უკვე ძალიან ენატრები... "შენი ღიმილი ანათებს სოფელს" – ასე დავარქვი ლექსს, რომელიც წლების წინ შენ მოგიძღვენი. ახლა ამ ლექსით დაგილოცავ გზას, ძმავ, იმიერში.

### შენი ღიმილი ანათებს სოფელს ჩემს ძმას

შენს ყრმობას ბინდი ეფინა თვალზე. ტკივილი ერქვა შენს ყმაწვილობას და შენს ნაადრევ კაცობას ენდო მთელი ოჯახის ავი და კარგი. შენ აიწიე თითის წვერებზე, რომ ცისკენ დაძრულ ვაზს მისწვდომოდი და მზის სხივით მოხარე შენყენ ლერწი საკალმე და სამამულე. იყო ლოდინი, ტკივილი, დაღლა, ცარიელ ქვაბში ცრემლები დუღდა, კაცური რწმენის, იმედის სხივი, ინასკებოდა პატარა გულთან. არ ჩაუვლია იმ დღეებს უხმოდ, გულში ჩარჩენილ ტკივილებს სძინავთ, შენ უფრო მეტად იწვი და ფხიზლობ, რომ იყოს მეტი ღიმილის წვიმა. შენი ღიმილი ანათებს სოფელს, შენი კოჭრები მწვანე სანახებს, ოფლით დამწვარი ჩითის პერანგი ფეხქვეშ უგაათ თოთო ბალახებს. შენ ამ სიყვარულს არ გაეცქციე და მეც ამ რწმენით დავალ ამყად, მზეში გარუჯულ ბეჭების სითბო ქარებს ჩამოაქვს ჩემთან, ქალაქად. მამის მაგიერ შენს თამადას ვისძინებ, გვახარებ შენს ტკბილ დაიებს და ჭადრის ფოთლისტოლა ხელეებზე გიეოცნი კოჭრის ჭიაბაიებს.

ზურა ბაბუნაძე

### თემურ მებრალიოვილის ბასსენება

კაცს, ვისზეც ამჯერად ვწერ, ბავშვობიდან ვიცნობდი იმ უბრალო გარემოების გამო, რომ ჩემი მეზობელი და ჩემი თანაკლასელის მამა იყო. ბევრი კარგის თქმა შეიძლება თემურ მეგრელი-შვილზე ისე, რომ სიტყვები, ლამაზი სიტყვები არ დაგეგნოს, ლამაზად განვლილი მისი ცხოვრების ცალკეული ეტაპების აღსანიშნავად.

სადაც კი იმუშავა, ყველგან კაცური კაცის, პრინციპული, ობიექტური ზემოქმედების, ხალასი იუმორის გრძობით დაჯილდოებული ადამიანის სახელი კანონიერად მოიხვეჭა. და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემის აზრით, ის პერიოდი გახლდათ ბატონი თემურ მეგრელიშვილის ცხოვრებაში, როცა იგი ქართველებთან და ებრაელებთან დასახლებული კულაშის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო.

დღესაც თბილად იგონებენ კულაშელები მარად მოფუსუსე, ყველა ოჯახის ჭირისა და ღზინის მეოხ, გამზარებულ თავმჯდომარეს, რომელიც განუხრელად ზრუნავდა დაბისა და დაბელების კეთილდღეობისათვის, კიდევ უფრო ადუღებდა ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან უხინჯო მეგობრობას, მაგალითი კი, მაგალითი თავად იყო ამ მეგობრობისა მისი სისადავით, კაცობით.

არანაკლები პასუხისმგებლობით იმუშავა თემურ მეგრელიშვილმა სხვა პასუხისმგებ თანამდებობებზეც.

ბოროტებისაგან დაცლილია ადამიანი, რომელსაც იუმორის გრძობა აქვს, არის ასეთი გამოთქმა.

ნამდვილად ჯანსაღი იუმორის გრძობით იყო ბატონი თემური დაჯილდოებული.

აღსანიშნავია, რომ "სამტრედიის მაცნე" ზშირად უთმობდა ადგილს რედაქციის თითოეულ წევრისათვის პატივსაცემი კაცის მხიარულ სტრატეგებს, პოზიტიური განწყობა რომ შექმნიდა მკითხველთა შორის.

მისი რამდენიმე სხარტი გამონათქვამი ახმაინდა ამჯერად გონებაში: სამსახურში მოვიდვარ ერთ დღით.

ძროხას საბალახოზე მიდენის თემურ ბიბია, ერთმანეთს მივესალმეთ, ძროხას ხელი თბილად გადაუსვა და მორიდებით უთხრა: "წაბრძანდი ახლა ბატონო და სადამოს მოგაკითხავთო", გაევიკირე, რა პატივითა და მოწიწებით ელაპარაკებოდა საჭონელს-თქო.

ბიბია, ჩემზე მეტი შემოძრანი და ჩემზე მეტი დაფასებული ოჯახში მაგია და აბა, როგორ დაველაპარაკო.

ქალაქში შემხვდა წლების წინ. ბედნიერი მისი ქმარი, შემომესიტყვა მოსალმებამდე. ვისზე ამბობ-თქო ვკითხე და ხელი აფიშისაკენ გაიშვირა "მუნჯი ცოლის" სპექტაკლზე იწვევდა აფიშა მავრებელს.

ჩინებული ქართული ოჯახის წინამძღოლი იყო თემურ მეგრელიშვილი, საკუთარი, ღირსეული ადგილი უჭირავს საზოგადოებაში მისი ოჯახის თითოეულ წევრს, რომელთაც კანონიერად შეუძლიათ იამაყონ უკვე მარადისობაში გადასული მათთვის ძვირფასი ადამიანის სახელით, რომლის ხსოვნასაც არასოდეს დანრდილავს ბინდი დავიწყებისა.

ხუთი წელი სრულდება ამ დღეებში თემურ მეგრელიშვილის გარდაცვალებიდან.

ნათელში იყოს!

ლევან ბაბუნაძე

### სამტრედიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს

მეორე ათასწლეულს უკვდავება ეწადა, მოიყრება ყოველი, რაც ჰქონდა, რაც ებადა, ცოდნა, გამოცდილება, ცას მიაპყრო მზერა და ღვთის აღმშენებლის ტაძარი დაბადა. ხარებიდან შობამდე ოცი წელი გასულა, ღვთის მადლი და კურთხევა ტაძარზე გადმოსულა, შემოიხსენ ნაჭუჭი, ცაში ჯვარი აღმართე. სიამაყის ხიბლი და აღმაფერხა დაგემართე. ქვეყანამაც საავდრო გადიფარა ღრუბლები, მირაჟიდან გამოხველ, ამაყად იყურები, ჭეშმარიტი ღვთის რწმენით ძველს ქართველთა გულები, დიდგორის გმირ მებრძოლთა მოდგმისა ვართ წულები. მეფეს, აღმშენებელს კურთხევა და დიდება, მის სახელზე ტაძარი რწმენის ბურჯად იდგება, ახალგაზრდა ქალაქი უფლის მადლით ივსება, ღვთის შემართება, გამარჯვება გეჭვირდება. ქვაში ამღვრებულა ორნამენტი ქართული, ქვისგან გამოკვეთილი ჯვარი გაქვს აღმართული, კარიბჭის ხარის თავზეც ჯვარი ამდგებულა, ჩუქურთმითა მშვენივრით თვალი გალაღებულა. ჯვრის დიდებას შორით ჭკურტს ჭალები და რიონი, პაი-პაი, რომ არ გეგავს ახლა გალაკტიონი, შენი შესხმა რომ ცვადო, ვიცი უნდა წაგაგო, ნეტავ ვინ გამოგაკვთა, ნეტავი ვინ ავაგო? ქართულ ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი ხარ, კერპთა დამამსხვრეველი, ჭეშმარიტი ღმერთის ხარ საუბან და ადგილი ლოცვის აღსავლენელი, ცოდვილ სულთა გამოსხნის გზებისა ხარ მძებნელი. ჯერ ნორჩია ქალაქი, ბევრი რამ აქვს სათქმელი, ტაძარში აინთება აღსავლენი სანთელი, დამარცხდება წვედიადი, გაიმარჯვებს ნათელი, კვლავაც ამობრწყინდება საქართველოს სახელი.

### ლოცვა მასწავლელს

სამტრედიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს მონაწილეს, მამა პანტაზო გელაქაძისადმი შუბლს ნეტარების სხივი გეფინა, სამწესოს აფრქვევდი ამ ნეტარებას, და საღვთო წერილს, შენგან წაკითხულს, ძალას მატებდი და მგზნებარებას. შენ ღმერთთან იყავ, მადლა ღრუბლებში, ღმერთი კი შენში ჩასახლდა თითქოს, მრევლს პირჯვარს სწერდი და დაჰდიოდო, ჯვარს ვიეოცნიდნენ და ხელეებს დიდრონს. კართან მომდგარი მკათამშვეველი ვეღარ ვბედავდი მე ახლოს მოსვლას, ღრმა უფსკრული ჰყოფს ერთმანეთისგან რწმენის მჭედელს და ურწმუნო მოკვდავს. სანთლებს უუნთხებდი წმინდანთა ხატებს, გარდაცვლილი მძის სულს ვაკვიდრებდი, უფალო, ძალა მომეცი მწამდეს. ლოცვა მასწავლელ, შენ გევედრები.

აკაკი რუხაძე

განთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ქეთევან ნიკურაძეს გარდაცვალების გამო.  
მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ქეთევან ნიკურაძეს გარდაცვალების გამო.  
ვეტერანთა რაიონული კავშირი თანაუგრძნობს ალიკო ბანძავას რძლის, ნელი ბანძავას გარდაცვალების გამო.

### “მსოფლიოს ახალი 7 საოცრება”

ახალი 7 საოცრების ფონდი შეიქმნა 2001 წელს შვეიცარიაში. ის დაფუძნებულია კერძო შემოწირულობებზე. ამ პროექტის მიზანი იყო განეხილებინათ ძველი 7 საოცრება. 2007 წლის ივლისს ლისაბონში გამოქვეყნებული ინტერნეტგამოკითხვის შედეგებით, 100 მილიონმა ადამიანმა მსოფლიოს საოცრებების ახალი შვიდეული დაასახელა:



1. ჩინეთის დიდი კედელი (პეკინი – ჩინეთი) – ჩინურად “ვანლი ჩან ჩენ”, ანუ ჩინეთის დიდი კედელი 10000 ლის სიგრძის კედელს ნიშნავს. იგი დიდი სამხედრო გამაგრებაა, რომლის მშენებლობაც მომდინარეობდა ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან ახ. წ. მე-17 საუკუნემდე. სხვადასხვა დინასტიების, მონღოლთა, თურქთა და სხვა მომთაბარე ტომთაგან თავდასხმების დასაცავად. 7 ათას კილომეტრამდე სიგრძის კედელი შანხაის გასასვლელიდან ბოხაის ზღვამდე გადაჭიმული. ცოცხლად ჩატანებული მემორები, დაკარგული საგანძური, მიწისქვეშა სამალავები, უცხოპლანეტელებთან კავშირი და ა. შ. – ეს ყველაფერი ჩინეთის დიდი კედლის დღემდე იდუმალებით მოცული მხარეა.



2. ტაჯ-მაჰალი (აგრა – ინდოეთი) “სასახლე-გვირგვინი” – ძველი აგრაში, ინდოეთში, აგებულია 1631-1654 წლებში დაახლოებით 20 000 მუშის მიერ. მუდალთა იმპერატორ შაჰ ჯაჰანის შეკვეთით ტაჯ-მაჰალი უნდა გამხდარიყო მისი საყვარელი მეუღლის, არჯუმან ბანო ბეგუმის (ცნობილი, როგორც მუმთაზ მაჰალი) მავზოლეუმი. ტაჯ-მაჰალი მუდალთა მმართველობის პერიოდის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება, ამ სტილში გაერთიანებულია ინდური, სპარსული და თურქული არქიტექტურის ელემენტები. მისი მთავარი არქიტექტორი იტალიიდან მოწვეული ჯერონიმო ვერონიო იყო.

3. კოლიზეუმი (რომი – იტალია) ფლავიუსების ამფითეატრი, ძველი რომის არქიტექტურული ძეგლი ძირითადად ეთმობოდა გლადიატორების ბრძოლის სანახაობებს. კოლიზეუმი მდებარეობდა რომალული ფორუმის მარჯვნივ და იგი აშენდა ძვ. წ. 70-სა – ძვ. წ. 72 წელს იმპერატორ ვესპასიანის ზეობის დროს. კოლიზეუმის მშენებლობა დასრულდა იმპერატორ ტიტუსის დროს და შემდგომი ცვლილებები შეტანილი იქნა იმპერატორ დომიციანის ზეობისას.



ეს ქვეშ დამარხულია განძებული და თუკი ადამიანი საჭირო ადგილს იპოვის მათ თვალწინ ოქროს გორები გადაიშლება.

4. უძველესი ქალაქი პეტრა (იორდანია) – ქალაქი პეტრა თავისი სიძველითა და ისტორიული, თვალწარმტაცი სანახაობით, ყოველ წელს უამრავ ტურისტს იზიდავს. ქალაქში მოხვედრისთანავე დამსვენებელთა თვალწინ ახალი სამყარო იშლება. აქ შეგიძლიათ ნახოთ უძველესი სასახლე ელ-კაზნე, მონასტერი ელ-დეირი. ადგილობრივ მაცხოვრებლებს სჯერათ, რომ კაზნ-ის ქვეშ დამარხებულია განძებული და თუკი ადამიანი საჭირო ადგილს იპოვის მათ თვალწინ ოქროს გორები გადაიშლება.



5. ქრისტეს ქანდაკება (რიო – ბრაზილია) – ქრისტეს ქანდაკება (პორტ. ჩრისტო რედენტორ). იგი მდებარეობს რიო-დეჟანეიროში მთა კოროკოვადოს წვერზე. დამზადებულია მთლიანად რკინაბეტონით და რეცხვადი ქვით. ქრისტეს ქანდაკების ზუსტის ზომებია: სიმაღლე – 38 მ. ამასთანავე კვარცხლბეკი – 8 მ. წონა – 1145 ტ. გაშლილი ხელების სიგრძე – 30 მ. ქრისტეს ქანდაკება რიო-დეჟანეიროში, ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და პო-



პულარული მონუმენტია მსოფლიოში. ყოველ დღე მილიონობით ტურისტი ადის მის კვარცხლბეკზე, საიდანაც იშლება ქალაქის გასაცარი პანორამა.

6. ინეების ქალაქი – მაჩუ-პიჩუ (პერუ). – ჩვენ დრომდე კარგად შემონახული ინეების კოლუმბამდელი ნანგრევები მაღალი მთის ფერდობებზე, დაახლოებით 2 350 სიმაღლეზე, მდებარეობს პერუში, მდინარე ურუბამბას ხეობის თავზე, დაახლოებით 80 კმ-ში კუსკოდან ჩრდილო-დასავლეთით. მაჩუ პიჩუს მშენებლობა დაიწყო დაახლოებით 1430 წელს და სავარაუდოდ დასრულდა 1462 წელს.

ნებლობა დაიწყო დაახლოებით 1430 წელს და სავარაუდოდ დასრულდა 1462 წელს.

7. ჩიჩენ-იცა (მექსიკა) – ვრცელი კოლუმბამდელი არქეოლოგიური ძეგლი მექსიკის ტერიტორიაზე, კერძოდ იუკატანის ნახევარკუნძულზე, აგებული მაიას ცივილიზაციის მიერ. ჩიჩენ-იცას ნანგრევები ამჟამად მექსიკის ფედერალური მთარეელობის ქვეშაა და იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი.



**ქალბატონ ციალა კანსტალიანს!**  
ღვაწლმოსილ პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს.  
ინარეთ, იდეგერძელეთ, ჩვენი უბერებლო ციალა მასწავლებლო!

**ქეთევან ჭაღიძე**  
**ლევან ბაბუნაძე**

**რედაქციის მისამართი:**  
**სამბრაძის რესპუბლიკის ქ. №6**  
**ტელ: 790 391839**

**მაცნე**  
სამბრაძის

დირექტორი **ბექან გოგია**  
მთავარი რედაქტორი **ქეთევან ჭაღიძე**  
გამომშვები რედაქტორი **თამაზ ბაბუნაშვილი**  
პასუხისმგებელი მდივანი **ლევან ბაბუნაშვილი**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა **მამა პაპაძე**